

ყოველ დღე ორჯერად ბარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. შარე შე მცხოვრებთათვის: В редакцію газ. „Дრობა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

# დროება

ცალკე ხომარი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ღირს ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ.; ჩვეულებრივის ციკეროთი—1 კაპ.; პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8). ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრეაი: В редакцію газ. „Дრობа“.

ცალკე ხომარი

## „დროებისა“

იხვიდება ფოთი-თფილისის რკინის გზის უამრავ სტანციებზე: თფილისის, გორის, ხაშურის, ბჟაბთუბანის, ყვირილის, კიონის და ფოთისა. თითოეულ ხომარი შაური.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გარღინი, 29 ივნისს. დღევანდელს სხდომაზედ ქონგრესმა გაათავა მორიგების პირობების წაკითხვა.

ხედავ ამ მორიგების პირობაზე ქონგრესის წევრნი მოაწერენ ხელს.

შაბათს ბერლინის ქონგრესი დაიხურება.

ქონგრესის წევრნი ზოგნი შაბადს და ზოგნი კვირას გადიან ბერლინიდან.

კუბარბურღის ბირჟა, 1 ივლისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

|  |           |
|--|-----------|
| პირველი გამოცემის                      | 97—25     |
| მეორეის                                | 96—12     |
| მესამის                                | 96—       |
| მეოთხის                                | 96—       |
| პლმოსავლეთის                           | 95—       |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი                    | 7—78      |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი | —         |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები:           | მან. კაპ. |
| პირველი სესხის                         | 244—      |

მეორე სესხის — — — — —  
1 მანეთი ღირს:

|            |        |           |
|------------|--------|-----------|
| ლონდონი    | 25—56  | პენსი     |
| ამსტერდამი | 128—50 | ცენტი     |
| ჰამბურგი   | 218—   | 3/4 ცენტი |
| პარიჟი     | 260—   | სანტიმი   |

## საქართველო

მშვიდობიანობა

ახლა თითქმის შეუცდომელათ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ომიანობა აცილებთ თავიდან და მშვიდობიანობა დამყარდა.

ბევრს, რომელთაც ომი ოქროს მადნად აღმოუჩნდათ, რომელთაც კარგათ მოითბეს ხელი და სქლად გაიტყნეს ჯიბეები სხვა-და-სხვა „პოდრობითა“ და „პავსტაეკებით“, ეს გარემოება, ეს ომიანობის მოსპობა, რაღა თქვა უნდა არაფრად ეჭაზნიკებათ. არ ეჭაზნიკებათ იმიტომ, რომ ესენი ბოდბელის სწავლის მიმდევარნი არიან; ესენი ამბობენ: „ოლონდ ჩვენ კარგათ ვიყვნეთ, ე. ი. ოლონდ ჩვენ გავივსოთ ჯიბეები, და თუნდაც ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო!“

მაგრამ ხალხი, მდაბიო ხალხი, რომელსაც ყველაზე უწინ და ყველაზე უფრო დაწყდება ხოლმე კისერზე ყოველგვარი საზოგადო გაჭირება და უბედურება,—ეს ხალხი კი, უეჭველია, განარბული უნდა იყოს მშვიდობიანობის ჩამოვარდნისათვის. იმას აღარ უნდა ეშინოდეს შემდეგში აღარც ომის საჭიროებისათვის ჯარში წასვლისა, აღარც ურემების გაყვანისა, აღარც ომიანობის დროს ერთობ გახშირებულის მატყუარა და მცარცვავე მეჯარადრეებისა, აღარც მუშაობაზე მოცდენისა და აღარც სხვა რასმისი, რომელიც ყოველ ომს მოსდევს ხოლმე.

ამ მხრით მოსიყვანება ხალხი. მშვიდობიანობის ნიშნებათ ჩაიუღლებ, სხვათა შორის, ორი ამბავი, რომელიც დღევანდელს ჩვენს გაზეთში არის მოყვანილი: ერთი ის, რომ ინგლისის

სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ფაბრიკებმა აღარ უნდა მოამზადონ ტყვია-წაშალი, ზარბაზნები და სხვა საომარი მასალები; მეორეც ის, რომ ჩვენი მთავრობა ოდესსაში გემებს ჰქირაობს სტამბოლისაკენ გაჩერებულ ჯარების უკან დასაბრუნებლად.

ბეკითხვენ:—მაშ, ეს რაღა არის, მილიციონერებს რომ აგროვებენ ჩვე შიო?

მა ის არის, რომ დღემდინ იყო შიში ინგლისსა და რუსეთს შუშ ომი, ატეხისა და ამიტომ ორივე მოწინააღმდეგეები ყოველი შემთხვევისათვის, საომრად ემზადებოდნენ.

ახლა კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს შიში თითქმის სრულიად აღარ არის. ქონგრესი დღეს-ხვალ მორჩება თავის საქმეს, შემდეგ ბერლინის მორიგების პირობაზე მოაწერენ ხელს ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლები და შემდეგ ქონგრესი დაიშლება.

ამ გვარად, როცა ჩვენ ამ სტრიქონებსა ვწერთ, ჯერ მხოლოდ ნიშნებს ვხედავთ მშვიდობიანობისას. მაგრამ იმედია, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ პირ-და-პირ შეგვეძლება გეიხველისთვის თქმა, რომ „ამ ჯერობით სრული მშვიდობიანობა არის“—მეთქი.

„არც ომს ცული მშვიდობიანობა სჯობიანო“—ამბობენ რუსები; მაგრამ ჩვენთვის რომ ეკითხნათ, ჩვენ ამ სიტყვას უკუღმა მოვაბუნებდით და ასე ვიტყოდით: „სულ მშვიდობიანობას კარგი ომი სჯობიან!“

### დღიური

\* სენატორი სტარიცკი, რომელიც შიშიის არეულობის მიზეზების გამოსაძიებლად იყო ამას წინათ სილნადის უეჭდში გაგზავნილი, როგორც ამბობენ, დაბრუნებულა თფილისში.  
\* ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი მოკლე ცნობა იმაზედ, რომ ქავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ



ერთს თავის წევრს თ. ზ. ზორჯაძეს მიანდო თავის ჰაზრის გამოთქმა ძველ-სიაში აქციზის შემოღების თაობაზედო.

ხ. ცნებულ ზორჯაძეს წარუდგენია ეს თავის ჰაზრი სამეურნეო საზოგადოებისათვის და ეს ჰაზრი, როგორც გაზეთი „ძაქაზი“ გვაცნობებს, იმაში მდგომარეობს პირველად, რომ ძველსიის ენა-ხის პატრონებსაც ის უპირატესობა მიეცეს, რაც რუსეთის სხვა გუბერნიების მემამულეებს აქეთო, ე. ი. აქციზის გარდასახადი შეუძლია, და მეორედ რომ ძველსიის სამეურნეო საზოგადოებაში იწუამდგომლოს უმალესს მთავრობასთან, რომ ერთხელვე დანიშნულს აქციზის გარდასახადს მთავრობა ნულარ მოუშაბტებსო.

\* \* \* „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ პოლიციის ახალ წესდებულებას ამ თფილისის თვიდამ შემოიღებენ ძალაქშიო.

\* \* \* ამავე გაზეთის სტყვიით, თფილისის პოლიციამ იცის აქამად ორასი კაცი, რომელთაც თავის სპეციალურ ხელობად ქურდობა, ცარცვა და საზოგადოთ ბოროტ-კაცობა გაუხდიათო.

\* \* \* რა განარებია საწყალ „მზზორს“ და იმის მხნე რედაქტორს—უფ. ნიკოლაძეს, რომ ჩვენი გაზეთის ერთს, სხვადა-სხვა მიზეზების წყალობით, დამახინჯებულს სტატიაში რალაც შეცდომა მოუწახავს! სად წავა, უფ. ნიკოლაძე, ჩვენც რომ სამაგიეროს გარდახდა მოვიდლოთ და აღვნიშნოთ ყველა ის შეცდომა და შეცოდება, რაც თქვენს გაზეთში არის ხოლმე? იმათ სიას ხო ჩვენი პატარა გაზეთი ვერ დაიტევს!

თფილისში ცხოვრებს ერთი ყველასაგან კარგათ ცნობილი პირი, რომელიც მუდამ ყველას უღრენს, ყველას ვინც კი უნდა იყოს, სულელებს და უპატიოსნებს ეძახის. მიზანი ამ პირისა არის, რომ მთელი ქვეყნის გინებით თავის საკუთარი ნაკლულეგანებანი დაიფაროს.

ამნაირის ხასიათისათვის ამ კაცს ქვეყანა „საბაკევიჩს“ ეძახის. უფ. საბაკევიჩმა ამ გვარის თავის ქცევით ერთ დროს ზოგიერთების თვალში პატიოსნებისა და ჭკვიანი კაცის სახელი დაიმსახურა.

—შველას აგინებს, ალბათ თვითონ ერთი რამ უნდა იყოსო! ამბობდნენ. მაგრამ მალე შეიტყეს, რა შეილიც ბრძანდებოდა.

იქნება თქვენც, უფ. ნიკოლაძე, ამ კაცის კვალზე დადგომა გასურს?!...

\* \* \* „დროებაში“ იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ მომავალი 1879 წლიდამ თ. ილია ზავჭავაძე, თავის გაზე-

თის მაგიერად, მუდამ თვეობით აპირებს ჟურნალის გამოცემასა, რომელსაც აგრეთვე „ივერია“ ერქმევა სახელადო.

ახლა ჩვენ შევიტყუთ, რომ ილ. ზავჭავაძე ამ წლის დამლევს აპირებს ნიშნულთ თავის მომავალ ჟურნალის ერთი წიგნის გამოცემას.

\* \* \* მშვიდობიანობის მოახლოება დაეტყო ჩვენს ბაზარს: ზოგიერთა ხორაგეული თან-და-თან იაფდება; ძალაქის გამოცემაც უფრო იაფ ტაქციას ნიშნავს; მაგრამ, როგორც ამას წინათაც ვთქვით, უბედურება ეს არის, რომ ამ ბამგეობისაგან გამოცხადებულ ტაქციას მომეტებული ნაწილი ჩვენი ვაჭრებისა სრულებით ყურადღებას არ აქცევს და როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. ნუთუ ძალაქს, ბაზარნიკებს გარდა, რომელნიც საზოგადოთ ძალიან საეჭვოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, სხვა არაერთარი ღონის-ძიება შეუძლიან აღმოაჩინოს, რომ იაის ხმა „ხმა მლაღებელად უდაბნოში“ არ ღარჩეს?!

„დროებას“ კნ. ჩრამსკონდენსია

ზემო-იმაერთი, 25 ივნისს. აპოლისუნ-თქეს ჩვენმა უფზღის მთხოვნელებმა სიამოვნებით! ჩვენ მოვიშორეთ ერთი მომრიგებელი მოსამართლე, რომელმაც ისე მოგვაბეზრა თავი, რომ მის ყოფნას უსამარლოება ვამჯობინეთ. შეაშინებდნენ: ვაის გაყვრებით, მაგრამ უის შეყვრებითო. ღიღს შიშში ვიყავით.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს ისეთი სულია მოგვივიდა, რომ ალტაცებაში ვართ ყველანი მოსულნი. ორი-სამი დღეა, რაც საქმეებს არჩევს, მაგრამ ცხადათ ვხედავთ, რომ უსტავები კი არ ყოფილა დამნაშავე და ცუდი, მისი ამსრულებელნი ყოფილან ცუდები.

ჩვენ დღემდის, მირთვის სულია არ გვეყოლია, როგორცა სჩანს ახალი სულის მოქმედებდამ. ხელმწიფის კანონი ბრძანებს: იყოს ჩქარი სამართალიო! ჩვენმა ძველმა სულიამ ეს თავისებურათ შეცვალა და სიტყვა „ჩქარი“ შეცვალა „გვიანზე“.

ძველი სულია მიცემულს თხოვნაზე რვა თვის ვადას უნიშნავდა მთხოვნელებს და ხშირათ საქმე ოთხი-ხუთა წელიწადი რჩებოდა. ია ამტკიცებდა, რომ სხვაფორივ არა შეიძლება-რაო. მაგრამ, თუ მოინდომებდა, საქმეს არ გააგრძელებდა. მართხელ მისმა ბიჭმა იჩილა მასთან ერთ მედუქნეზე თ. ა—ზე; თორმეტი საათის განმამავლობაში გარჩია საქმე და გაათავა. ამისთანა საქმეები მრავალი იყო...

ახალი მოსამართლე ათი-თორმეტი დღის ზევით არ უნიშნავს ახალ მომჩინანს ვადას. საქმეს იწყებს რვა საათიდან

და ძრიელ მალე არჩევს. [ჩრდელს] ვადას უნიშნავს მთხოვნელებს, ასე მუქდება, ძრიელ უკვირსთ გოგნებს.

მართის სიტყვიით, ამ ცოტა ხანშივე დაგვიმტკიცა ამაწ, რომ ახლისამართალი კარგი ყოფილა, თუ სულია ვარგა. მაგრამ რა ქმნას საწყალობა იმ ხალხმა, სადაც სულია ოთხჯერ დახვეს კაცის ჩვენებას და თავის განჩინებას და ოთხჯერვე ხელ-ახლად დაწერს; ამასთან კანონების მოხანვეს თითო საათი მოუწდება?...

სული ხმა აქვს დაგდებული ჩვენი უფზღის ხალხს. არ ვიტყვი, რომ მათში არ ერთოს რამდენიმე ცუდი და ბოროტი პირი, მაგრამ მართელ საზოგადოებას თუ აიღებთ, ამისთანა მორჩილი ხალხი არც ერთ უფზღში არარის. აქ ჩვენი ზოგიერთი ჩინოვნიკები კაცურათ კი არ ელაპარაკებიან გლეხებს, სულ საბაკი-საბაკის ეუბნებიან. მართმა ჩინოვნიკმა შეკრებილ საზოგადოებას უთხრა:

—თქვენ სულ ვირები და უტყინოები ხართ! მე დავიბარებ ექიმებს, გამოვალბინებ თქვენი თავები-რამ ტყინებს, სხვა ხალხის ტყინს ჩაგიდებ და მამინ ისწავლით რამესო!

ხშირათ მომხდარა, რომ მთხოვნელი-სათვის წიხლი მიურტყამთ გულზე და დაუციათ მიწაზე და სხვა ამისთანა.

თუ ვისმეს ღმერთი გასწყრომია, და გაუმხელია რამე, მაშინვე მისთვის „კლი-აუზნიკი“ დაუძახნიათ და მართელი საზოგადოება თავის ანგარიშებში გაუთხვრიათ და გაუღანძღავსთ.

ღარწმუნდით, საზოგადოება კაცს იცნობს, თუ კაცი კაცური არის. სულ პირველ მირთვის სულიას უ. ს. მართელი საზოგადოება უკან გაეტირა, ისე უყვარდათ, და დიდი პატივიც სცეს. ღირსს კაცს ასე ღირსათ მოეჭყევა საზოგადოება.

მწლანდელ დროში ბავშვებს აღარ ღანძღვენ პირში და დრო არის მოსპონ ზოგიერთებმა ასე ჩხუბით ღაპარაკი და ღანძღვა მთხოვნელებთან... მიხედვით, უფალნო, რომ თქვენ ხართ მუშაქნი საზოგადოებისა და არა საზოგადოება თქვენი ყურ-მოჭრილი მონა და საღანძღავი ყმა. თქვენ გიყურებს ხალხი მამასავით და თქვენ კი იმათ მონებივით!

ბედნიერი ვართ, რომ ამ მხრითაც კარგი სულია მოგვივიდა, რომელსაც ზდილობაც შეუწაწვლია. ძველი სულია არც კი იყო ვასამტყუნარი მართლა. შევლამ კარგად ვიცით ძველ სემინარიებში როგორ სწავლობდნენ და როგორი ზრდილობიანი შაგირდები გამოდიოდნენ; ძველი სულია სემინარიელი იყო...

ღიღი მოხარული ვართ, რომ ახალმა სულიამ ქართული იცის. მართული ენის უცოდინარობა ძრიელ აბრკოლებს სამართალს, ამისთვის რომ მთარგმნელები არ იშოვებიან და რომელნიც არიან, სრულებით არ შეუძლიათ თარჯიმნობა. სულია ქართულს მიხედება მაინც და თუ თარჯიმანმა ვერ აუხსნა, თვითონ მაინც გაიგებს. რამდენათ წვალობს და ხშირად კოჭლობს სამართალი ცუდი თარჯიმნებისაგან, შემდეგ მოგახსენებთ.





დუხაბორებიდან, 26 თბათვე წრე-  
განდელი ვახშორებული წვიმების გამო  
დუხაბორებში ასეთი ბალონობა გაჩნდა,  
რომ ქვაზედაც კი ამოვიდა. ამ ერთი  
კვირის წინათ ჯეჯილებიც მიწას ძლიერ  
ამოსცილდებოდა და ეხლია უცფათ ისე  
აიწია, რომ სადაცაა თავთავს დაიყრის.

მართალია, ავდრიანობამ თვითონ  
სოფელში თავი მოაბეზრათ, ზოგიერ-  
თებს სახლები წყლით აევსო და ქუჩე-  
ბი ხომ ღმერთმა გაშროსთ, „ძალი  
არ გაიგდება,“ მეზობელი მეზობელთან  
ვერ მისულა მუხლამდე ტალახისაგან.  
მაგრამ ეს შეწყუბება შრომის-მოყვარე  
დუხაბორის ხალხს არათ მიაჩნიათ,  
ის გამოდის მინდრათ და დაპხარის თა-  
ვის მშვენიერ ჭირნახულს, აჭრელებულ  
ფერად-ფერადათ მთა და ბარს.

და მართლაც, მშვენიერი სანახავია  
ზაფხულობით ეს მხარე; რა ყვავილს  
იტყვიტ, რომ აქ ვერ მოაბოვებოდეს,  
თითქმის გიორგინებიც კი მოაბოვება  
მინდრათ. ჰაერს ნულარ მკითხნათ;  
ჩემს აქ ყოფნაში წვიმამ წამოუშინა და  
ერთ საათს უკან მთები სულ თეთრათ  
დაიფარა თოვლისაგან! მათი სიტყვით,  
მინდრებს საითაც გაჰხედამთ, ისეთ  
ნაირათ გაგახარებსთ, რომ მშვენიერი  
ბალახის ყურებით შეგშურდებათ, რომ  
პირუტყვი რათ სძოვსო!

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ამოდენ-  
ნა ჭირნახული უპატრონოთ სტირის:  
ვინლა დარჩათ, სადლა ხალხი? რაც სა-  
ხალმა გასწყვიტა, რაც არა და 400 ფურ-  
გუნით ჯერაც ატრიალში იმყოფებიან.  
მა ფურგუნები მგონი უკვე დაუთხოვი-  
ათ და თითო-ოროოთანი მოდიან კიდევ.

დუხაბორებში გამართული გოსპიტა-  
ლი ამ თვის 16-ში დაიხურა; ავთომყო-  
ფები სრულებით აღარავენ დარჩა, რაც  
დასაღდა, რაც არა და 80 კაცი აღექ-  
სანდროპოლში გაგზავნეს.

მსლა ამ დუხაბორების გაჭირება ის  
არა, რომ სახალი კიდევ უდგიათ და  
შემწეობა კი აღარსაითგან აქეთ და  
სწყუბებიან საცოდავები უთაებოლოთ.  
სანამ გოსპიტალი არ იყო დახურული,  
ექიმებისაგან დიდი შემწეობა ჰქონდათ  
და წამლებიც მუქათათ ეძლეოდათ, მაგ-  
რამ ეხლა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ  
და ესენი კი დარჩნენ ყვლებ გადავდე-  
ბულნი. ამბობენ, საზოგადოება სცილი-  
ლობს, მთავრობას გამოსთავოს ერთი  
ფერშალი და პატარა აფთიაკიო, რომ  
პირველ შემთხვევაში მაინც ილაჯი რამ  
ჰქონდეთ შემწეობისა. მაგრამ „სანამ  
პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძ-  
რესო“.

ილია აღზაზაშვილი

## ოპის აგებუბი

### ბერლინის კონგრესსი

ინგლისს იმედი მისცემია, რომ პონ-  
გრესსი უეჭველად მშვიდობიანობას და-  
ამყარებსო და ამის გამო, როგორც გა-  
ზეთი „თამისი“ გეაცნობებს, სამხედრო

სამინისტროს განკარგულებით, ყველა  
ნავსადგურებში და აგრეთვე ფაბრიკებ-  
ზე და ქარხანებზე სამხედრო ხომალდე-  
ბისა, თოფ-იარაღისა, ტყვია-სამლისა და  
სხვა ყოველი სამხედრო მასალების მზა-  
დება შეუჩერებიათ.

„მოსკოვის უწყებების“ ბერლინელი  
კორრესპონდენტი ამ დეპეშით გეაცნო-  
ბებს პონგრესისაგან ბათუმის საქმის  
გადაწყვეტას:

„პონგრესმა გაათავა ბათუმის საქმე;  
იმან გადაწყვიტა, რომ მართა ქალაქი  
ბათუმი და იმის ნავსადგური დარჩეს  
რუსეთსო; ციხეები კი უნდა დაანგრიონ.“

ბეიკეირს—რომელიც ციხეები უნდა  
დაანგრიონ, როდესაც თვითონ ქალაქს  
ბათუმში არავითარი ციხე არ არის! ბა-  
თუმის სიმაგრე ჩვენის მხრით არის ციხის-  
ძირი და თვითონ ადგილის მდებარეობ-  
ბა, ერთის მხრით მთა-კლდეები და მეორე-  
რეს მხრით შავი ღზეა, რომელნიც ჩინე-  
ბულად იცვენ ამ ქალაქს.

მსეც მეორე გარემოება, რომელიც  
გვიმტკიცებს, რომ ომიანობის შიშისა-  
გან განთავისუფლებულნი უნდა ვიყვნეთ:

ზაზეთის „ბოლოსის“ მღვსსელი  
კორრესპონდენტი იწერება, რუსეთის  
სამხედრო მთავრობა ქირაობს აქ ხომალ-  
დებს სან-სტეფანოში გასაგზავნად და  
იქილამ 125,000 კაცის რუსეთში გადმო-  
საყვანათაო.

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია  
შემდეგი დეპეშა 23 ივნისს ბერლინი-  
ლამ მიღებული:

„ბათუმის საქმეზე მოლაპარკების დროს,  
გუშინ, ისეთი უთანხმოება ჩამოვარდა  
პონგრესში, რომ კინალამ ეს პონ-  
გრესსი არ დაიშალა. თ. ბისმარკი ყო-  
ველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ბა-  
თუმი რუსეთს დარჩენოლა. იმან მიაქ-  
ცია პონგრესის ყურადღება იმ გარემოე-  
ბაზედ, რომ რუსეთმა ამ ომში ერთობ  
ბევრი მსხვერპლი მოიტანაო და რითი-  
მე დაჯილდოებული უნდა იყოლოს. ამ-  
ბობდნენ, ბაკონსწილდი წინააღმდეგი  
იქნებოა, რომ ეს ქალაქი რუსეთს ერ-  
გოსო. მაგრამ ბოლოს საქმე მშვიდო-  
ბით გათავდა.“

„მოსკოვის უწყებების“ დღევანდელ  
მოწინავე სტატიაში ჩვენ წაეკითხეთ  
შემდეგი სტრიქონები:

„რა არის ბათუმი და ის პატარა ნა-  
ჭერი მიწები, რომელიც ჩვენ უნდა შე-  
ვიძინოთ! ღმერთმა ყველა ამ შეძენას  
მშვილობა მისცეს, ოღონდ კი ჩვენ შე-  
ვასრულოთ ის „წმინდა საქმე“ (ქრი-  
ტიანების დაცვა), რომლისთვისაც ჩვენ  
ვიბრძოდით, რომლისთვისაც სისხლი  
დავღვარეთ! მსე გამოვაცხადეთ ჩვენ იმ  
თავითვე, რომ ჩვენ მხოლოდ ოსმა-  
ლეთის ქრისტიანების განსათავისუფლებე-  
ლათ ვიბრძოდეთო და ბათუმის, ბეს-  
არაბიის ნავლეჯისა და ძილიის ქაობე-  
ბის შეძენა ხომ „წმინდა საქმეთ“ არ  
ჩაითვლება...“

## ოპის უმედობა

„მოსკოვის უწყებები“ დაბეჭდილია  
შემდეგი ტელეგრამა 23 ივნისს მიღე-  
ბული პრზრუმილამ:

„ამ ქამად აქეთქვენ ჩინებული დღე-  
ები დგას, არ ცხელა. ხალხი კარგს მო-  
საველოს მოვლის. სრული მშვიდობიანო-  
ბაა; მხოლოდ ჩვენს სამზღვარზე მეჭრ-  
ათის კაცები სცარცვენ ხოლმე ხალხს.  
მანილამ ცუდი ამბავი მოდის: ქურთები  
აწუხებენ სომხებსაო და ოსმალეთის  
მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას  
არ აქცევსო.“

„Indép. Belge“-ში იწერებიათ ათინი-  
ლამ:

„თესსალიის ბერძნებში ხელ-ახლად  
არეულობა და მღვლევარებაა. ხალხი  
პონგრესისს გარდაწყვეტილებას უცდის  
და ამის გამო ოსმალეთის მმართველო-  
ბას გადასახადს აღარ აძლევენ.“

ინგლისის გაზეთის „დაილი ნეუსის“  
ტრაპიზონელი კორრესპონდენტი იწერე-  
ბა ამ გაზეთში:

„მცირე აზიის სომხები ძალიან შეწყუ-  
ხებული არიან მურთებისაგან. სომხის  
პატრიარქმა სთხოვა ოსმალეთის მთავ-  
რობას ნება, რომ ბერლინის პონგრესზე  
წასულიყო და აეხსნა სომხების მდგომარე-  
ობა და საჭიროება; მაგრამ ნება არ  
მისცეს. მე შევიტყე, რომ პრზრუმილამ  
გაუგზავნიათ სომხებს ბერლინში ათი  
კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომ-  
მელმანც უნდა აცნობოს პონგრესსა —  
თუ რა მდგომარეობაშია ამქამად იმათი  
ქვეყანა.“

## წერილი რედამტორთან

მას მერმეთ რაც გაიხსნა ხონის ორ-  
კლასიანი სასწავლებელი, ყოველთვის  
და განსაკუთრებით 1876-ს წელს, პირ-  
ველ კლასში იყო ძლიერ სივიწროვე.  
ამ დროს ხონში შეხვდა ყოფნა მუთაი-  
სის კუბერნიის სახალხო მკოლების დი-  
რექტორს უ. ტროეს, რომლის რჩევი-  
თაც გაიხსნა აქ პირველი კლასის მეორე  
განყოფილება. მასწავლებლათ დანიშნეს  
უ. ჩხენკელი; და რადგან ამისათვის მო-  
მეტებული ხარჯი იყო საჭირო, სწავლის  
ფასად, ნაცვლად სამი მანეთისა, დანიშ-  
ნა ხუთი.

მაგრამ ამ ხუთმა მანეთმა ჰყო, თუ  
სხვამ რამემ, მხოლოდ შავირდები ჩვენ  
რომ გვეგონა, იმოდენი პირველათაც  
არ შამოვიდნენ და მეორე იმათი რიცხვი  
სულ თან-და-თან მცირდებოდა.

აი ამგვართ იყო საქმე პირველ წე-  
ლიწადში. შემდეგ ამისა უ. ჩხენკელი  
განდა ავათ; თითო თვეობით არ მოდი-  
ოდა კლასში და ამ დროს შავირდები  
კი პირველი კლასის ორივე განყოფი-  
ლებაში იყვნენ მხოლოდ ონი; მამასადამე  
იმათი სწავლება შეეძლო ერთ მასწავ-  
ლებელს და ამისათვის, თანახმად დირექ-  
ტორის მოწერილობისა, პირველი კლა-





სის ორივე განყოფილება შეაერთეს და უ. ჩხენკელი თავისუფალი გახადეს მასწავლებლობიდან, რომ მისთვის სასწავლებელს ტყვილათ არ ეძლია წელიწადში ორმოცი თუმანი.

საუბედუროთა, ამბობს კორრესპონდენტი, ამ მასწავლებელს (ე. ი. ჩხენკელს) აგერ ოთხი თვეა კლასში არ უვლიოა; ესაა, როგორც თვითონ ზედამხედველმა დამარწმუნა. პირველი განყოფილება ისევე დაიხურა... ან რისთვის გაგვიხსნეს, ან რისთვის დაგვიხსურესო... თუ უ. ჩხენკელმა არ ისურვა მასწავლებლობა, სხვა არ მოინახებოდაო“ და სხვ.

პატივი და დიდება თქვენს მოსაზრებას და კაცთ-მოყვარებას, უფ. კორრესპონდენტო! თქვენ სწუხართ ამ განყოფილების დახურვას ვითომ მისთვის რომ ის საჭირო იყო: ვინმე რისმეც ისწავლიდა; მაგრამ ვაი, თუ სულ სხვაზედ სწუხდეთ.

რამდონათ მასწავლებლები გაკვეთილებს აცდენენ და კლასებში არ დაიბრუნებენ—ამის ანგარიში ყოველი თვის თავზე მასწავლებლების და მზრუნველის მ. მ. მ.—ის ხელ-მოწერილინ ეგზავნება სახალხო შკოლების დირექტორს უ. ტარიეს. მიკვირს: ნუ თუ ყველანი ატყვილებენ ამ უკანასკნელს? ნუ თუ რევიზიის დროს მაინც ვერ გაიგო იმან, რა უსწავლიათ ყმაწვილებს, რომ ის ყოველთვის კმაყოფილია ხონის სასწავლებელზე?

მ. ი. მასწავლებელთაგანი

დ. ხონი 26 ივნისს.

## განცხადებანი

ჭუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის გიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა მნა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45

- 2) ანუპა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ უშლი? მომედია ალ. თუთაივისა, ფასი 30 კაპ.
- 4) მუხმის ტაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მუხუ ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

ზარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

„ძვეკასიის წიგნის სავაჭრო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), ქუთაის ხიდის თავში, ძ. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. „სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“ (ქართული არაკები დაზღაპრები მე-XVII და XVIII საუკუნისა) ოხულებმა საბასულხან ორბელიანისა, რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. სავარელისაგან. პეტერბ. 1878.

ფასი თათო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა ანაზი.

2. „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურაში“ ძირითიკული მიმო-

ხილვა. პეტერ. 1879. რუსული წიგნია. ოხულებმა ალ. ცაბარაშვილისა. ფასი თათო წიგნისა 1 მან. და 10 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანცივეთან

### „ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო“

ანუ თავდადება ქართველთა“ ტრაგედია ოთხ მოქმედებად „თხუხუთ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. შიკინაძისაგან ფასი 30 კაპ მიკი

### გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ზრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

პ. მახსისაგან. ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფასი ყველაგან ექვსი რაზი.

## მისაც ჰსურს მოიპოვოს ახალი

ქვერი შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიდილს, (ქუთაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისიულობს ამ კვერების გაკვეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

| რ.პ. გზა.  | დოლა. | სალაშ. | II კ. | III კ.     |
|------------|-------|--------|-------|------------|
| თფილისი    | 9 21  | 5 18   |       |            |
| მცხეთა     | 10 11 | 6 27   | 68    | 38         |
| ზორი       | 11 58 | 9 43   | 2 40  | 1 33       |
| ხაშური     | 1 29  | 11 57  | 3 92  | 2 18       |
| სურამი     | 1 44  |        | 4 42  | 2 46       |
| შვირილი    | 5 49  |        | 5 81  | 3 23       |
| რიონი      | 6 57  |        | 6 75  | 3 75       |
| სამტრედიო  | 7 51  |        | 7 73  | 4 29       |
| ახ.-სენაკი | 8 43  |        | 8 57  | 4 76       |
| შოთი       | 9 50  |        | 9 75  | 5 42       |
| შოთი       | 9 83  |        |       |            |
| ახ.-სენაკი | 10 14 |        | 1 18  | 6 66       |
| სამტრედიო  | 11 5  |        | 2 6   | 1 14       |
| რიონი      | 12 13 |        | 3 4   | 1 69       |
| შვირილი    | 1 18  | ლაშე   | 3 98  | 2 21       |
| სურამი     | 5 12  |        | 1 10  | 5 33       |
| ხაშური     | 5 39  |        | 1 37  | 5 84       |
| ზორი       | 7 5   |        | 4 8   | 3 6 4 9    |
| მცხეთა     | 8 50  |        | 6 59  | 9 8 5 4    |
| თფილისი    | 9 31  |        | 7 56  | 9 7 5 6 42 |

| ტელეგრაფი  | მ. კაპ | გაზანდა                | მან კაპ | თფილისის სამაჟრანალო  |
|--|--------|------------------------|---------|---|
| მ.ცი სიტყვა თფილისიდან:  |        | თფილისი, 2 ივლისს.     |         | ქრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.   |
| ჭუთაისს, შოთს  | 1      | შქვ. თთა. ზანჯისა, ფთ. | 1 40    | ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.                        |
| ზორს, დუშეთს, სიღნაღს  | 50     | შქვილი წითელი.         | 1 25    | ორ შ ა ბ ა თ ს: ქიურარანც—ხორურტი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფ.                       |
| როსტოვს, მდებსას, მოსკოვს  | 2      | ქერი ფუთი              | 1 25    | ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგ. ავთმყოფობის, რეჩინ და ბახტონი—ბეზიბოზის თვალის. |
| პეტერბურგს, შარშავას   | 2      | ბაზა ქრევისა, ფუთი     | 7       | მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ, ბაკტი—გულის და ნერვების ავთმყოფ.       |
| მსხალეთში, შევეტარიში  | 3      | — ამერიკისა, ფუთი      | 8       | ხ ე თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ. ბაერინსკი—თვალის და მბრტტი—კბილის.   |
| იტალიაში და საფრანგეთში.   | 3 50   | ბაპენტილი ბაზა ფუთი.   | 10      | პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშევი—შინაგ. ავთმყოფ. ბახტოვი და ქიურარანცი.                 |
| ინგლისში   | 3 75   | მატული თუშური ფთ.      | 8 50    | შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგანი ავთმყოფ. მეთის და ნერვების.                         |
| ფოშტა  |        | — მარაქამისა ფთ.       | 6       |   |
| ა) თფილისიდან: სამხლვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. |        | აბრეშუმი ნუხური სტ.    | 2       |   |
| მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ.   |        | ქონი, ფუთი.            | 6       |   |
| ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მ. ზურგეთს—ორშ. და პარასკ.   |        | ქონის სათელი ფუთი.     | 9       |   |
| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამხლვარ გარეთ: თფილისიდან                                      |        | სტეარონის სათელი, ფ.   | 13      |   |
| ლოა წიგნის (სამი მისხალი)  | 8      | ხორცი ძრახისა, ლიტ.    | 90      |   |
|  |        | — ცხრისა, ლიტოა.       | 90      |   |
|  |        | სპირტი, ვედრო          | 5 20    |   |
|  |        | შაქარი, ბროც. ფუთი     | 7 60    |   |
|  |        | — ფხენილი ფუთი         | 6       |   |
|  |        | ქაფა გრვადი, გირე.     | 70      |   |
|  |        | ზოთი ქუნჯულისა ფუთ.    | 13      |   |
|  |        | მამაკო, სამულო ფუთი    | 8 50    |   |